საზღვარგარეთის ეკლესიის პირველიერარქი: კანონპროექტი No8371 მიმართულია უკრაინის მორწმუნე მოქალაქეების უმრავლესობის წინააღმდეგ

სსკგ-ის კომუნიკაციის სამსახური, 23.10.2023. უკრაინის უმაღლესი რადას მიერ პირველი მოსმენით მიღებული კანონპროექტი No8371, რომელიც ითვალისწინებს უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის მსახურების აკრძალვას უკრაინის ტერიტორიაზე, „მოწმობს რელიგიური თავისუფლებების არარსებობას თავისი ღვთისმოსაობით ცნობილ ქვეყანაში, და მიმართულია მისი მორწმუნე მოქალაქეების უმრავლესობის წინააღმდეგ“, – აღნიშნა რუსეთის საზღვარგარეთის ეკლესიის პირველიერარქმა, აღმოსავლეთ ამერიკისა და ნიუ-იორკის მიტროპოლიტმა ნიკოლოზმა კიევისა და სრულიად უკრაინის უნეტარეს მიტროპოლიტ ონუფრისადმი მიწერილ წერილში, და მას ძმური სიყვარული, თანადგომა და თანაგრძნობა გამოუცხადა.

„ძმებო მღვდელთმთავრებო, მოძღვარნო, მონაზვნებო, უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის ერთგულო შვილებო! წარდგომილნი ღვთისმშობლის კორენო-კურსკის ხატის, „ზეციური ნიშნის“, წინაშე, აგრეთვე წმინდა მღვდელთმთავრისა და საკვირველთმოქმედის იოანეს (მაქსიმოვიჩი) წმინდა ნეშტისა და სხვა სიწმინდეების წინაშე, ჩვენ მხურვალედ ვლოცულობთ ამ სამწუხარო დღეებში თქვენი გაძლიერებისთვის“, – ნათქვამია რუსეთის საზღვარგარეთის ეკლესიის ვებგვერდზე **გამოქვეყნებულ** წერილში.

„ჩვენ ასევე ვლოცულობთ იმ მდევნელთა შეგონებისთვის, რომლებმაც ჯანსაღი აზრი დაკარგეს“, – ხაზი გაუსვა მიტროპოლიტმა ნიკოლოზმა. მან აღნიშნა, რომ უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის დღევანდელი ვითარება მოგვაგონებს ასი წლის წინანდელ მოვლენებს, როდესაც ზოგიერთებმა მართლმადიდებლურ სამყაროში, განუდგნენ რა დევნილი ეკლესიის კანონიკურ იერარქიას, უღმერთოებთან ერთად მხარი დაუჭირეს ე.წ. „ჟივოცერკოვნიკებს“.

„ჩვენ ვლოცულობთ, ვიმედოვნებთ და გვჯერა, რომ მე-20 საუკუნის ახალმოწამეთა და აღმსარებელთა ხსოვნას გულში ჩაიდებს თითოეული ჩვენგანი, მართლმადიდებელი, და ეს დაგვეხმარება რომ ამ რთულ დროში მივბაძოთ დევნილთა რწმენისა და ერთგულების მაგალითებს და არ აღმოვჩნდეთ მდევნელთა მხარე“, – წერს რუსეთის საზღვარგარეთის ეკლესიის წინამძღვარი.

***

19 ოქტომბერს უკრაინის უმაღლესმა რადამ პირველი მოსმენით მიიღო No8371 კანონპროექტი, რომელიც მიმართულია უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის აკრძალვაზე. ის საშუალებას იძლევა, სასამართლო წესით აიკრძალოს ნებისმიერი რელიგიური გაერთიანების საქმიანობა უკრაინის ტერიტორიაზე, თუ ისინი „აფილირებულნი იქნებიან“ უცხოურ რელიგიურ ორგანიზაციებთან. მოსკოვისა და სრულიად რუსეთის უწმინდესმა პატრიარქმა კირილემ ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესიების წინამძღვრებსა და რიგ რელიგიურ მოღვაწეებს წერილობით მიმართ, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს. რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წინამძღვარმა თავის გზავნილებში ადრესატებს საკუთარი **შეშფოთება გაუზიარა** უკრაინის პარლამენტის მიერ დისკრიმინაციული კანონპროექტის განხილვასთან დაკავშირებით.

წყარო: https://mospat.ru/ge/news/90921/